

## ძვ. ქართული თარგმანის ისტორია

ქართულის, როგორც მწიგნობრული ენის ჩასახვა, ჩამოყალიბება და განითარება, ქართული ქრისტიანული ლიტერატურის ჩამოყალიბება მთარგმნელობით მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. ეს პროცესი ბიბლიისა და ლიტურგიკის (საღვთისმსახურო წიგნების) თარგმნით იწყება.

**I ეტაპი.** რამდენადაც არავითარი ფაქტობრივი მასალა არა გვაქვს წარმართობისდროინდელი ქართული თარგმანების არსებობის შესახებ, უნდა ჩავთვალოთ, რომ პირველი ქართული თარგმანები იყო:

**ბიბლია:** უპირველეს ყოვლისა, სახარება (უძველესი ხელნაწერებია ხანმეტი სახარებები), ფსალმუნთა და წინასწარმეტყველებების წიგნები (ძველი აღთქმის ხელნაწერებიდან ჩვენამდე მოღწეული უძველესია ხანმეტი *ესაიას*, ხანმეტი *იერემიას* და ხანმეტი *ეზრა I*-ის წიგნები).

**ღვთისმსახურების (ლიტურგიკული) ტექსტები:**

ა) ლიტურგია,

ბ) **ლექციონარი** (კალენდრის მიხედვით გაწყობილი დღეების ღვთისმსახურების განგება (წესი) ბიბლიიდან აღებული საკითხავებით). ჩვენამდე მოღწეულია ხანმეტი ლექციონარი (გრაცის ხელნაწერი), ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტები, რომლებიც შეიცავენ *დაბადების*, *მეორე სჯულთას*, *ისუ ნავეს*, *მსაჯულთას* წიგნების საკითხავებს. ასევე, ჰაემეტი, ლატალის, ლაჰილის, კალას, პარიზის ლექციონარები, **იადგარი** (კალენდრის მიხედვით გაწყობილი საგალობლების კრებულები, რომელიც, როგორცა ჩანს, ლექციონარის შემავსებელი იყო).

გ) **სადღესასწაულო ქადაგებები:** შესულია ე.წ. **მრავალთავებში** – კალენდრის მიხედვით გაწყობილ ჰომილეტიკურ (ქადაგებების) კრებულებში (ხანმეტი მრავალთავი, სინური, უდაბნოს, პარხლის, კლარჯული, ათონის მრავალთავები).

დ) **აგიოგრაფიული თხზულებები:** ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერია "ქრისტიანეს წამების", "კვირიკესა და ივლიტას წამების" ხანმეტი ტექსტი. უძველეს თარგმანებს უნდა შეიცავდნენ აგიოგრაფიულ თხზულებათა კიმენური რედაქციები. ერთი ნაწილი აგიოგრაფიული თხზულებების ძველი თარგმანებისა შესულია მრავალთავებში.

ლექციონარის, იადგარისა და მრავალთავების ერთობა ნათელ სურათს ქმნის V-X სს-ების იერუსალიმური ღვთისმსახურების წესისა (განჩინებისა) და მისი განვითარებისა (საუკუნეების მანძილზე ღვთისმსახურება ივსებოდა ახალი საკითხავებით, რაც ახალი დღესასწაულების შემოღებასთან იყო დაკავშირებული). ამ თვალსაზრისით ქართული წყაროები სრულიად უნიკალურია – ბერძნული წყაროები, რომლებიც ასეთ ძველ ლიტურგიკულ პრაქტიკას ასახავდნენ, ჩვენამდე მოღწეული არაა. სომხური უფრო გვიანდელია.

მრავალთავებში შესული ტექსტების უმეტესობა თარგმნილია ბერძნულიდან, უფრო ნაკლები – სომხურიდან. ვარაუდობენ, რომ ზოგიერთი თხზულება არაბულიდან და სირიულიდანაც უნდა იყოს თარგმნილი, ზოგს კი დედანი არ ეძებნება და იგულისხმება, რომ მხოლოდ ქართული თარგმანის მიხედვითაა ჩვენამდე მოღწეული.

ე) **ასკეტიკური კრებულები: მამათა აპოფთეგმები** (მამათა გამონათქვამები),

ვ) **ეგზეგეტიკა** (ბიბლიის განმარტებები), მაგ. სევერიანე გაბალოვნელის ექვსთა დღეთას განმარტება.

ზ) ამავე ეტაპისად მიიჩნევა ედ. ჭელიძე "ფიზიოლოგის" სომხურიდან განხორციელებულ თარგმანს.

ჩვენთვის დანამდვილებით არაა ცნობილი უძველესი თარგმანების განხორციელების დრო და ადგილი. სავარაუდოდ, ქართული მწიგნობრობის საწყისი ეტაპი იერუსალიმთან და პალესტინისა და სირიის მონასტრებში მოღვაწე ქართველებთან უნდა იყოს დაკავშირებული. არაა გამორიცხული, რომ თარგმანი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდეს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ თარგმანის გაჩენა მრევლის გაჩენის შედეგი უნდა იყოს.

ამ ეტაპის თარგმანები, ძირითადად, ფორმალურად საკმაოდ ახლოს მისდევენ დედანს, თუმცა ხანმოკლე მთარგმნელობითი პრაქტიკის (გამოცდილების) გამო, როდესაც ჯერ არაა სათანადოდ აპრობირებული (მოსინჯული) ლექსიკური თუ გრამატიკული ეკვივალენტები, თარგმანის ენა ჯერ მოუქნელ, ჩამოუყალიბებელ შთაბეჭდილებას ტოვებს და ხშირად გაუგებარიცაა. თარგმანის ამ ტიპს “სპონტანური” თარგმანი შეიძლება ვუწოდოთ, რადგანაც მთარგმნელებს ჯერ არა აქვთ შემუშავებული თარგმანის კონცეფცია და პრინციპები და გზადაგზა პოულობენ სათარგმნი ენისთვის თარგმანის ენის შესაბამის ენობრივ (ლექსიკურ და გრამატიკულ) საშუალებებს. თარგმანის შემდგომ ეტაპებზე უკვე პრინციპულად და თანმიმდევრულად ხდება თითოეული ამ, უკვე ნაპოვნი საშუალების გამოყენება.

## **ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანები (IV-X საუკუნეების წყაროთა მიხედვით)**

### **ზოგადი ცნობები ბიბლიის ქართული თარგმანების შემცველი წყაროების შესახებ**

რამდენადაც არ არსებობს არავითარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც წარმართობისდროინდელი ქართული თარგმანების არსებობას ადასტურებდეს, უნდა ჩავთვალოთ, რომ წმინდა წერილი ქართულად შესრულებულ პირველ თარგმანს წარმოადგენს.

ჩვენამდე არ მოუღწევია პირდაპირ წერილობით ცნობებს იმის შესახებ, თუ სად, ვის მიერ, რა ვითარებაში, რა ენიდან ითარგმნა ბიბლია ქართულად. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მთლიანად ბიბლიის შემცველ ხელნაწერთა ანალიზზეა დამოკიდებული.

ჩვენს ხელთ არსებული ბიბლიის ქართული თარგმანის შემცველი უძველესი ხელნაწერები V-VII საუკუნის ხანმეტი პალიმფსესტური ხელნაწერებია – საკუთრივ ბიბლიის და ლექციონარის<sup>1</sup> ხელნაწერები. ასეთებია, მაგ. ფრაგმენტები ე.წ. საბაწმინდური ოთხთავიდან (A 999, V ს.), ესაიას წინასწარმეტყველებიდან (A844, V

---

<sup>1</sup> წმ. წერილის სხვადასხვა წიგნიდან ამოკრებილი და საეკლესიო კალენდარზე გაწყობილი საკითხავების კრებული. ქართული ლექციონარები V-VII საუკუნეების იერუსალიმის ღვთისმსახურების წესს ასახავენ და უნიკალურ წყაროს წარმოადგენენ, რადგანაც შესაბამის ბერძნულ ლიტურგიკულ წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

ს.), კაიროს გენიზას იერემიას ფრაგმენტები (VI-VII ს), სახარების ფრაგმენტები (A89, A844, VI-VII ს.), არაკანონიკური ეზრას ვენური ფრაგმენტი და ა. შ. ამ ხელნაწერთა არსებობა უკვე მიუთითებს იმაზე, რომ **VII საუკუნე ბიბლიის ქართული თარგმანის ზედა ზღვარია.**

დასახელებული ხელნაწერების საფუძველზე იმის თქმაც შეგვიძლია, რომ **ბიბლიური წიგნები მხოლოდ ერთხელ არ თარგმნილა:** მაგ. სახარების ფრაგმენტები ორ სხვადასხვა თარგმანს შეიცავენ, იერემიას თარგმანი, რომელიც ხანმეტ ფრაგმენტშია დაცული, განსხვავდება იერემიას იმ თარგმანისგან, რომელსაც მოგვიანო, X-XI საუკუნეების ხელნაწერები შეიცავენ და ა.შ.

გარდა ამისა, ეს ფრაგმენტები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იმის შესახებაც, თუ სად ითარგმნა ბიბლიური წიგნები ქართულად. კაიროში ნაპოვნი იერემიას ქართული პალიმფსესტი, ისევე, როგორც სახარების V საუკუნის პალიმფსესტის ტექსტის ხასიათი (მისი სიახლოვე ბერძნული სახარების ე.წ. კესარიულ ტექსტთან) საშუალებას გვაძლევს, რომ **ბიბლიის ცალკეული წიგნების თარგმანის წარმომავლობა წმინდა მიწას დაევკავშიროთ.**<sup>2</sup> ამავე დროს, სახარების სხვა ფრაგმენტებში დადასტურებული თარგმანები უფრო ახლოს დგანან იმ ბერძნულ ტექსტულურ ტიპებთან, რომლებიც ანტიოქიაში შეიქმნა და კონსტანტინეპოლში იხმარებოდა. ამგვარად, ხანმეტი ფრაგმენტები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ **ბიბლია ქართულად სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა მწიგნობრულ წრეშია თარგმნილი.**

ადრეული ქართული თარგმანების შემცველი ხელნაწერები, რომელიც სახარების ტექსტს მეტ-ნაკლები სისრულით შეიცავს, ძირითადად ტაო-კლარჯეთში არის გადაწერილი: ადიშის (897), ოპიზის (913), ჯრუჭის (936), პარხლის (973) ოთხთავები. ძველი აღთქმის წიგნთა შემცველი უძველესი ხელნაწერია 977-979 წლებში ოშკის მონასტერში თორნიკე ერისთავის შეკვეთით ათონისათვის გადაწერილი ხელნაწერი. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს XI ს-ის ხელნაწერი წინასწარმეტყველთა წიგნებს შეიცავს. IX-X საუკუნისაა ფსალმუნების ხელნაწერები, რომელთა უმეტესობა სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში ინახება დღემდე ან სინური წარმომავლობისაა. ამათ შორისაა ე.წ. პაპირუსის ფსალმუნი. სინური ფსალმუნების გარდა, ჩვენამდე მოღწეულია ასევე ე.წ. 1016 წელს გადაწერილი (მზ. შანიძე) მცხეთური ფსალმუნიც.

ბიბლიის ტექსტის მონაკვეთებს შეიცავენ IX-X საუკუნის ლატალის, კალას, სინას, პარიზის ლექციონარები და VI-VII საუკუნეების ხანმეტი ლექციონარების ფრაგმენტები.

## **ბიბლიის ქართული თარგმანების მომდინარეობის საკითხი**

---

<sup>2</sup> ბიბლიის ბერძნული ტექსტმა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერმა წერილობითმა ძეგლმა, მეტ-ნაკლები ცვლილებები განიცადა შექმნის შემდეგ. ქართული თარგმანი ბერძნული ტექსტის განვითარების სხვადასხვა ფაზასთან არის ახლოს – უმთავრესად წინარეცენზიულთან (ე.ი. ტექსტთან, რომელსაც ცვლილებები ჯერ არ განუცდია) და ანტიოქიურ ტრადიციასთან (ე.ი. ტექსტთან, რომელიც ანტიოქიაში და კონსტანტინეპოლში იყო გავრცელებული).

ბიბლიის ქართული თარგმანების მომდინარეობის გარკვევა ბევრი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი და მათ შორის იმის შესასწავლადაც, თუ რამდენად ადეკვატურად ასახავს თარგმანი თავის ორიგინალს.

ბიბლიის - როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის - წიგნები, რომლებიც უძველეს ხელნაწერებშია დაცული, ბერძნულიდან არის თარგმნილი. ამასთან, იმის დაკონკრეტებაც შეგვიძლია, თუ რომელი ტექსტუალური ტრადიციასთან უფრო ახლოს არის ქართული თარგმანი.

რამდენიმე წიგნი, კერძოდ, I და II ეზრას წიგნების თარგმანები, რომლებიც X საუკუნის შემდგომ ხელნაწერებშია დაცული, სომხურიდან არის შესრულებული. სომხურის მიხედვით, შესაძლოა თავად გადამწერის მიერ, ნასწორებია ე.წ. მცხეთური ფსალმუნი.

გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ ქართული თარგმანი სირიულიდან მომდინარეობს. თუმცა ეს მოსაზრება დღემდე არგუმენტირებული არაა.

## ბიბლიის ადრეული ქართული თარგმანების ენა

ქრისტიანობამ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ახალი სააზროვნო სისტემა, ახალი ცნებები შემოიტანა, რომელიც გამოსახვის ახალი საშუალებებით – ახალი იდიომებითა და ფრაზეოლოგიით, უცნობი მხატვრული სახეებით, განსხვავებული გრამატიკული კონსტრუქციებით იყო გამოხატული. წმინდა წერილის თარგმნა მთარგმნელებს პირველ რიგში სწორედ ამ სიახლეების გადმოტანის სირთულის პირისპირ აყენებს. მათი დაძლევა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული: იმაზე, თუ რამდენად აცნობიერებს მთარგმნელი მის წინაშე მდგარ პრობლემებს, რამდენად შეუძლია მას სუბიექტურად ამ სირთულეების დაძლევა და რამდენად აძლევს ენა თარგმანის სასურველი ტექნიკის გამოყენების საშუალებას.

დღეს, როდესაც ჩვენ ბიბლიის თარგმანებს დიაქრონიაში ვახასიათებთ, ე.ი. როდესაც ერთმანეთს ვადარებთ ბიბლიის პირველმთარგმნელებისა და შემდგომი ეტაპის მთარგმნელების ნამუშავეს, გვეჩვენება, რომ ადრეული თარგმანები გაცილებით თავისუფალი ხასიათისაა, რომ პირველი მთარგმნელები უფრო საკუთარ ენაზე არიან ორიენტირებულნი და მათი ენა უფრო ბუნებრივი ქართულია. მაგრამ ამგვარი დასკვნა, როგორც ვთქვი, მოვლენის ჩვენი გადმოსახედიდან, დიაქრონიული შეფასების შედეგია. მაგრამ, როგორც სხვა ყველა მოვლენას, თარგმანის აქტსაც, მის ხასიათსაც, თარგმნის თანადროული პერსპექტივიდან უნდა შევხედოთ. როგორი იყო თარგმანის ენა, ქართული ენა, რომელზეც მთარგმნელი მეტყველებდა და წერდა? რამდენად აძლევდა იგი მთარგმნელს სათარგმნი ტექსტის ენის მახასიათებლების ადეკვატური ასახვის საშუალებას? რამდენად უწევდა პირველი ქართველი მთარგმნელი ანგარიშს საკუთარი ენის ბუნებას ანდა – რამდენად ღალატობდა თავის ენას იმისათვის, რომ უფრო ზედმიწევნით გადმოეტანა სათარგმნი ტექსტის სემანტიკაცა და ფორმაც?

იმდენად, რამდენადაც ჩვენამდე არ მოღწეულა ქრისტიანობამდელი ქართული მწერლობის ნიმუშები და რამდენადაც პირველი წერილობითი ძეგლები თავად წმინდა წერილი და მის შემდეგ დაწერილი ქრისტიანული შინაარსის თხზულებებია, ჩვენთვის ძნელია მსჯელობა ქართული ენის ხასიათის, მისი მხატვრული სტილისტიკის შესახებ. ამიტომაც თარგმანისა და სათარგმნი ტექსტის ურთიერთშედარება სხვა ყველაფერთან ერთად, თარგმანის ენის – ქრისტიანობამდელი ქართული ენის დახასიათების საშუალებასაც მოგვცემს.

როგორც წინა ლექციებზე უკვე აღვნიშნეთ, თარგმანს ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო მახასიათებლით აფასებენ – თავისუფალი (//დინამიკური) და სიტყვასიტყვითი (//ფორმალური//ბუკვალური). ისიც ვთქვით, რომ ორივე ეს ცნება მიმართებითია: ერთიდაგივე თარგმანი შეიძლება იყოს თავისუფალი იმავე ტექსტის მეორე თარგმანთან შედარებით და სიტყვასიტყვითი- მესამე თარგმანთან შედარებით. ცხადია, თუკი მთარგმნელის პოზიციიდან ამოვალთ, ბიბლიის ყველა თარგმანი სიტყვასიტყვითია, რადგან წმ. წერილის მთარგმნელთა პრინციპული პოზიცია იყო, რომ დედანი მაქსიმალური სიზუსტით გადმოეტანათ. თუმცა მათი შრომის შედეგი ამ პოზიციის გარდა, დამოკიდებული იყო სხვა ფაქტორებზეც: მაგ., იმაზე, თუ რა იყო მიჩნეული “სიზუსტედ”, რამდენად შორს მიდიოდნენ ამ “სიზუსტის” დაცვისას, რა ჟანრისა და ლიტერატურული ფორმის იყო სათარგმნი ტექსტი, რამდენად რთული იყო იგი საღვთისმეტყველო თუ ფილოლოგიური თვალსაზრისით, რამდენად მზად იყო ქართული ზუსტად აესახა ორიგინალი და სხვ.

## ბიბლიის ადრეული თარგმანების ხასიათი

ბიბლიის ქართული თარგმანების უმთავრესი თავისებურება ე.წ. **ებრაიზმების** გამოყენებაა. **ებრაიზმი** ბიბლიის თარგმანებში ნახმარი სიტყვები, სინტაგმები, ფრაზები და იდიომები, რომლებიც ებრაული ენისთვის არის დამახასიათებელი და უცხოა თარგმანის ენებისათვის.<sup>3</sup>

გარდა ებრაიზმებისა, ბიბლიის ქართული თარგმანის ენის თავისებურებას ქმნის ე.წ. **გრეციზმებიც**. ესაა ბერძნულისათვის დამახასიათებელი ლექსიკური და სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც არაბუნებრივი უნდა ყოფილიყო ქართულისათვის.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ როგორც სტილისტური, ისე გრამატიკული ებრაიზმებისა და გრეციზმების ერთი ნაწილი შესაძლოა ქართული ენის პოტენციის კუთვნილებაც იყოს და, არამხოლოდ წმ. წერილის ზეგავლენით, სპორადულად შეგვხვდეს ორიგინალურ თხზულებებშიც.

## ლექსიკა

---

<sup>3</sup> Tov, Three Dimensions, 88

ლექსიკური თვალსაზრისით წმინდა წერილი უაღრესად მრავალფეროვანია და მთარგმნელსაც მრავალფეროვან, განსხვავებული სირთულის პრობლემებს უჩენს.

ქართველმა მთარგმნელმა უნდა გადმოიტანოს

- ) ებრაული სიტყვები, რომლებიც უცხო იყო ძველი აღთქმის ბერძენი მთარგმნელისათვის და, ამიტომაც ტრანსკრიბირებულია ბერძნული ასოებით;
- ) სიტყვები, რომლებიც ბერძნულში ნასესხებია სხვა ენებიდან;
- ) იშვიათი ხმარებისაა ბერძნულში, ანდა სულაც ნეოლოგიზმებია (ახლად შექმნილი სიტყვებია) ან ერთხელ გვხვდება წმინდა წერილში (hapax legomenon).
- ) ახალი ცნებების ბერძნული შესატყვისები – რელიგიური, სამოხელეო, სამშენებლო, მუსიკალური და სხვა ტერმინები, ფლორისა და ფაუნის ამსახველი ლექსიკა, ფულის ერთეულებთან და კალენდართან დაკავშირებული სიტყვები;
- ) კარგად ნაცნობი ბერძნული ლექსემები, რომლებსაც ახალი მნიშვნელობა აქვს მიღებული მოცემულ კონტექსტში;
- ) სიტყვები, რომლებიც ალიტერაციას ან ასონანსს ქმნიან კონტექსტებში, ხმაბაძვითი სიტყვები...

სხვადასხვა სემანტიკური პრობლემების გარდა, მთარგმნელი თარგმნის დროს სხვადასხვა ფორმალური პრობლემის წინაშეც დგას: მაგ., ლექსიკური ერთეულები შეიძლება იყოს სხვადასხვა სტრუქტურისა – ფუძეგაორმაგებული, კომპოზიტური, ნაწარმოები. ყველა ამ შემთხვევაში მთარგმნელები სხვადასხვა გზას ირჩევენ თარგმანისა – ხან სისტემატურად ერთ მეთოდს იყენებენ, ხან თარგმანის სხვადასხვა მეთოდს სინჯავენ, ხანაც საერთოდ არ ფიქრობენ რაიმე მეთოდიკაზე და უპრინციპოდ, სპონტანურად, მოცემულ მომენტში (*ad hoc*) არჩევენ ქართულ შესატყვისს.

როდესაც ლექსიკის გადმოტანის მეთოდებზე ვსაუბრობთ, იმას ვგულისხმობთ, რომ მთარგმნელები

- ) ხან ყოველ ჯერზე კონკრეტული კონტექსტის მიხედვით არჩევენ ეკვივალენტს,
- ) ხან პარალელურ კონტექსტში უკვე გამოყენებულ სიტყვას იმეორებენ,
- ) ხან სათარგმნი სიტყვის ეტიმოლოგიას – ძირის მნიშვნელობას ეყრდნობიან,
- ) ხან თავის მიერ შედგენილი, ანდა უკვე არსებული ლექსიკონ(ებ)ით სარგებლობენ და, მიუხედავად კონტექსტისა, ერთსადაიმავე სათარგმნი სიტყვას ერთსადაიმავე, მყარ ეკვივალენტს შეუსაბამებენ ხოლმე.

თარგმანის ლექსიკის შესწავლა მთარგმნელისა და თარგმანის დახასიათების ერთ-ერთი საშუალებაა.<sup>4</sup> ამიტომაც ცალ-ცალკე განვიხილოთ ყველა ის პრობლემა,

---

<sup>4</sup> ამავე დროს, თარგმანის ლექსიკა ლექსიკოგრაფიული კვლევების და ლექსიკონების უმთავრესი წყაროცაა.

რომელსაც სათარგმნი ტექსტი უჩენს მთარგმნელს და ის მეთოდები, რომელთაც მთარგმნელი იყენებს მათ გადაჭრელად.

**ლექსიკის გადმოტანის მეთოდები:**

**ტრანსლიტერაცია (//ტრანსკრიბცია), ეტიმოლოგიური თარგმანი, სეგმენტაცია, კონტექსტუალური თარგმანი**

**ტრანსლიტერაცია (//ტრანსკრიბცია)**

ეს არის სათარგმნი სიტყვის ასო-ასო გადმოტანა, რომელსაც მთარგმნელი უმეტესად მისთვის უცნობი და დაუდგენელი მნიშვნელობის ლექსიკის შემთხვევაში მიმართავს (იხ. ქვემოთ). ტრანსლიტერაცია განსხვავდება **სესხებისაგან**. სესხება ჩვეულებრივ სპეციალური ტერმინოლოგიის შემთხვევაში ხდება, როდესაც მთარგმნელისათვის ამოსავალი სიტყვის მნიშვნელობა გასაგებია, მაგრამ არ არსებობს მისი ზუსტი შესატყვისი თარგმანის ენაში. ამ ხერხს ბიბლიის პირველი მთარგმნელები თითქმის არ მიმართავენ.

**ეტიმოლოგიური თარგმანი.**

ეს ის შემთხვევაა, როცა მთარგმნელი ქართული შესატყვისის მოძებნას სათარგმნი სიტყვის ეტიმოლოგიიდან ამოსვლით ცდილობს. ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელი ქართულში უკვე არსებულ, ბერძნულის მსგავსად ნაწარმოებ სიტყვას იყენებს. ხოლო თუკი ასეთი არ არსებობს, ახალ სიტყვას ქმნის, მაგ., Ps. 79:13 *τρύγωσι* (τρύγη - ყურძენი; *τρύγῳ* – ყურძნის რთველი) : *მოკყურძნიან*.

თარგმნის ამ მეთოდს მთარგმნელი მაშინაც მიმართავს, როდესაც თავად ბერძნული სიტყვის მნიშვნელობა არ არის ნათელი<sup>5</sup>:

Exod. 29:5 (bis) *λογεῖσθαι* (*λογεῖσθαι* – წინასწარმეტყველება (?) - (λόγος - სიტყვა) **საკითხავი** OB; **სიტყვერი** C.<sup>6</sup>

სათარგმნი სიტყვის ეტიმოლოგიიდან ამოსვლით შექმნილ ან მოძებნილ ლექსიკურ შესატყვისებს **სემანტიკურ კალკებს** უწოდებენ. კალკირების ამ ხერხს უმეტეს შემთხვევაში ნაწარმოები სიტყვების (დერივანტების) შემთხვევაში მიმართავენ.

**სეგმენტირება.**

ეს ხერხი გამოიყენება სხვადასხვა ტიპის კომპოზიტის თარგმნისას. მთარგმნელი დედნის კომპოზიტს სეგმენტებად ყოფს და ცდილობს თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ასახოს ქართულ ლექსიკურ შესატყვისებში. თარგმანის ამგვარ მეთოდს ფორმალურს თარგმანს, ლექსიკის კალკირებას უწოდებენ, ხოლო კომპოზიტების ფორმალური თარგმანით მიღებულ ლექსიკურ ერთეულებს – **ფორმალურ კალკებს**. თუ ენობრივი კუთხიდან შევხედავთ, ამ სფეროში ყველაზე

<sup>5</sup> მაგრამ არა ყოველთვის, მაგ. კოსმოსი.

<sup>6</sup> Exod. 29:5 τὸν χιτῶνα τὸν ποδήρη καὶ τὴν ἐπαμίδα καὶ τὸ *λογεῖσθαι* სამოსელი იგი ფერტაოდ, და სამჯრე იგი **საკითხავი**, და შეადგა სამჯრე იგი **საკითხავსა** B; სამოსელი პოდირი შესამოსლისა, და სამჯარი და **სიტყვერი**, და შეაყო **სიტყვერი** იგი სამჯარსა თანა C.

დიდი გამოწვევა ბიბლიის პირველმთარგმნელისათვის ბერძნული კომპოზირების ასახვა უნდა ყოფილიყო. თარგმანის ამ მეთოდმა ენაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა. ამიტომ ამ საკითხზე ოდნავ დაწვრილებით შევჩერდები.

ძველ ქართულში კომპოზიტის წარმოების არაერთი მოდელი არსებობდა. ამ თვალსაზრისით ქართული გაცილებით მდიდარია ბერძნულზე და სომხურზე.<sup>7</sup> აქედან გამომდინარე, სათუო იქნებოდა იმის თქმა, რომ რომელიმე გრამატიკული მოდელი ქართულში (მათ შორის ისეთები, რომლებიც ფუძის სახით უერთდებიან ერთმანეთს, ანდა – გაორმაგებული ფუძეები) ბერძნულის ან სომხურის გავლენით შეიქმნა. მაგრამ, რადგანაც ენაში კომპოზიციისა და დერივაციის ხერხები განვითარებული იყო, დედნის იმიტაციაც (მიბამვა) უფრო მარტივი ხდებოდა.

### ფორმალური იმიტაცია სხვადასხვა მეთოდით ხდება:

მთარგმნელს სათარგმნი სიტყვის სეგმენტებს მათს ადეკვატური შინაარსის ქართულ შესატყვისებს შეუსაბამებს. ამასთან, სეგმენტების მიმდევრობაც დაცულია.

თარგმანის ეს მეთოდი უმეტესად მაშინაა გამოყენებული, როდესაც სათარგმნი ტექსტში კომპოზიტით<sup>8</sup> გამოხატული ცნებები იყო უცხო ქართული სინამდვილესთვის და, შესაბამისად მისი ქართული შესატყვისი არც არსებობდა. ასეთებია, მაგ.

### რელიგიური ტერმინები:

Ezek. 21:26 ἦπατο (ღვიძლი)-σχοπήσασθαι (ჭვრეტა) (ღვიძლზე მკითხაობა), ამ კომპოზიტს ქართულშიც ორშემადგენლიანი კომპოზიტი შეესაბამება, რომლის ორივე ნაწილიც სემანტიკურად ზუსტად ასახავს სათარგმნი სიტყვის ორივე ნაწილს: ტყირბის-მსტუროზად OJ ღვძლის-მსტუროზად G

ასევეა გადმოტანილი სხვა ამგვარივე სემანტიკური ველის კომპოზიტები:

Zech. 3:8 **τερατο-σχοποι** ნიშის-მსტოვარნი (მსტუარი J) Geo<sup>OJ</sup>; ნიშთ-მჭურეტელნი Geo<sup>SB</sup>.<sup>9</sup> (შდრ. **τέρας** ნიში; **σχοπος** მსტოვარი OJ)

ასევე, კალკირებულია **ἐγγαστριμσθιος** : მუცლით-მეზღაპრე. რომელიც, როგორც ლევიტელთა წიგნის და ესაიას ქართულ თარგმანებში, ისე გვიანდელ, ელინოფილურ რეცენზიაში ბერძნულის მყარი შესატყვისია:<sup>10</sup>

Lev. 19:31. 20:6 AKBSG მუცლით მეზღაპრეთა G Lev 19:31; 20:7, 27 მუცლით-მეზღაპრეთა Is. 8:19, 19:3, 44:25.

### მუსიკალური ინსტრუმენტი:

**δευά** (ათი)-**χορბის**, Ps. 32:2, 91:4, 143:9 ათ-ძალი (შდრ. Ps. 150:4 **χορδαίς ძნობითა** G).

ამ ხერხს მთარგმნელი მაშინაც იყენებს, როდესაც სათარგმნი ცნების გადმოსატანად ქართული ლექსიკური ფონდიდანაც შეეძლო ესარგებლა. ამის კარგი მაგალითია მაგ., **δλο-καύτωμα**-ს გადმოტანა: ფსალმუნის ძველ თარგმანებში, სადაც

<sup>7</sup> იხ. თ. ყაუხჩიშვილი, აგრეთვე მრევლიშვილი, იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, დანელია,

<sup>8</sup> E. Tov, "Compound Words in the LXX Representing Two or More Hebrew Words", The Greek and Hebrew Bible, 131-152.

<sup>9</sup> teqsti dazianebulia Deut. 18:11-Si: **τερατοσχοπος** სასწაულით GeoBDES; ნიშთ-მზმნელი GeoG)

<sup>10</sup> Lev. 20:27 **ἐγγαστριμσθιος** მისან AKBS ???

Deut. 18:11 **ἐπαείδων ἐπαιδῆν ἐγγαστριμσθιος** και **τερατοσχοπος** ἐπερωτων τους νεχρους გრძნულ იყოს, ანუ ულუკთმკითხველი, ანუთუ სასწაულით მკუდართა მკითხველი AKBS.



კონტექსტი მთარგმნელისაგან არ მოითხოვს მსხვერპლის სახეობის დაზუსტებას, ეს კომპოზიტი ზოგადი ცნების ამსახველი ტერმინით არის გადმოტანილი: მსხვერპლი (Ps 19:4) საკუერთხი (ფს 39:7). ხუთწიგნეულის ქართულ თარგმანებში კი, სადაც შესაწირავის კონკრეტულ სახეობებს შორის უნდა მოხდეს განსხვავება, ამ ტერმინს უკვე კომპოზიტი შეესატყვისება: მრგულიად-დასაწული /ყოვლად-დასაწული G (Ex 29:18 ყოვლად მწურად B ყოვლად დასაწული AKCS).

მაგრამ კალკირებას მთარგმნელი მხოლოდ საჭიროების გამო არ მიმართავს, ეს მისი თარგმანის პრონციპია. ამის მაგალითად როგორც სხვა, ისე ქართული კულტურისათვის კარგად ნაცნობი *სასაფლაოს* ცნება გამოდგება: *πισυαυδριον*, რომლის ძველი ქართული შესატყვისიც *სამაროვანი* კიდევ იხმარება იერემიას ძველ თარგმანში,<sup>11</sup> ეზეკიელის მთარგმნელი ბერძნული კომპოზიტის კალკს ქმნის:

Ezek. 39:11(bis) მრავალკაცობისა OJ სამრავალსაკაცო გოგისა. G

Ezek. 39:15 მრავალკაცობისა OJ, სამრავალკაცოსა G,

Ezek. 39:16 მრავალკაცობის OJ, მრავალსაკაცო G

კომპოზიტის სეგმენტირებისას მთარგმნელმა სხვადასხვაგვარი ცვლილებაც შეიძლება დაუშვას. მაგ.

**გადაადგილოს სეგმენტები:**

Bar. 4:34 τῆς πισυ-οχλίας ერ-მრავლობისაჲ Geo

**ცალკე მდგომ სიტყვად წარმოადგინოს სეგმენტები:**

Deut. 11:21 *πισυημερεσσητε* განმრავლდენ დღენი, შდრ. იმრავალდღეთ G

**ერთ-ერთი სეგმენტის მნიშვნელობა შეიძლება გადაიწიოს ან შეიცვალოს:**

Deut. 4:26 *πισυ (მრავალ)-χρσιειτε* (დრო) დღე-გრძელად ABEKS, შდრ. იმრავალ-ქამეულნეთ G

Deut. 22:7; 25:15; 30:18 *πισυ(მრავალ)-ήμεροι* (დღე) დღე-გრძელ BDES დღემრავალ G

## ორიგინალის პრობლემები და თარგმანის მეთოდები

### I. ორიგინალის ბუნდოვანი, იშვიათად ხმარებული სიტყვების თარგმანა

#### ტრანსლიტერაცია.

როგორც ვთქვით, ტრანსლიტერაციის ხერხს ბიბლიის ადრეული ქართული თარგმანები უაღრესად იშვიათად მიმართავენ, ძირითადად იმ შემთხვევებში, როდესაც სათარგმნი სიტყვის მნიშვნელობა არ იციან და მის დადგენაში ვერც კონტექსტი ეხმარებათ. ამგვარად გადმოტანილ სიტყვათა უმეტესობა ებრაული ყოფის, რიტუალის, სამოსის, მცენარეების, ძვირფასი ქვების, ნელსაცხებლების, დროის ერთეულებისა და ფულის ერთეულების აღმნიშვნელ ტერმინებზე მოდის.

<sup>11</sup> იერემიას ძველი მთარგმნელი, ქართულში დამკვიდრებული სიტყვით – სამაროვანი გადმოსცემს: Jer. 2:23, 19:2. 19:6 bis *πισυαυδριον* თავდაპირველად – ბევრი ადამიანის თავშესაყრელი, გვიანდელი მნიშ. სასაფლაო სამარობანსა OJ. ამ ცნების კალკირებული ეკვივალენტი კი იერემიას გვიანდელ, ელინოფილურ რეცენზიაში იხმარება: სამრავალკაცო.

ამ ხერხით გადმოაქვთ, მაგალითად, ებრაული ტერმინები,<sup>12</sup> რომლებიც სექტუაგინტაშიც სემიტურ ნასესხობას წარმოადგენს, ანდა ტრანსკრიბირებულია. მათ შორის ყველაზე ხშირი სამშენებლო და ტაძრის ტერმინოლოგიაა:<sup>13</sup>

**δαβיר** translit. = דביר (ტაძრის უკანა ოთახი) დაბირი 1Kg, 1,2 Chr.<sup>14</sup>

**μασμαρσθ** = תוקרזמ (თასი), მასმაროთნი J მარმარუთენები O მაზმაროთნი G Jer. 52:19

**νεξερ** רזג = (დიადემა, ხელდასახმის ნიშანი) იეზერ FSOJa (2 Ki. 11:12 BGT)

**χαλβάνηη** = חלבן (ფისიანი, მცენარეული ექსტრაქტი) ქალბანჭ Ex 30:34

**σαβεικ** רבם = (ულრანი ტყე) საბეკი OCBAS Gen. 22:13

უნდა ითქვას, რომ არცერთი დასახელებული სიტყვის ხმარება არ გასცდენია წმ. წერილის ფარგლებს და არ დარჩენილა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში.<sup>15</sup>

საკუთრივ ბერძნული სიტყვების ტრანსკრიბცია ძველ თარგმანებში უაღრესად იშვიათია. თითოეორივე ამგვარი შემთხვევა სექტუაგინტას ნეოლოგიზმებზე მოდის,<sup>16</sup> მაგ.:

**γαῖσων** (შუბი) გეონითა BDS გესონი G Jos. 8:18 bis

ანდა, ბერძნულში შესულ ნასესხობებზე:

**κασία** (სანელებელი (სემიტური ნასესხობა)) კასია; Ezek. Ps. 44:9, 27:17

**κιννάμωμον** (დარიზინი) ფინიკიური ნასესხობა) Hdt. კინამომაჲ (-მომოჲ) Geo Ier 6:20; Ex 30:23

ტრანსკრიბირებულია აგრეთვე მთარგმნელისათვის ნაცნობი ძირიდან ნაწარმოები ბერძნული ნეოლოგიზმი: Ὄ

**ῥιῶνις როონისაჲ** Geo<sup>OJ</sup>; cf. ბროწეულთა Geo<sup>SB</sup> Zech. 12:11 თუმცა ῥῖα ყველგან ბ/(მ)როწეული.

ასევე ტრანსკრიბირებულია ბერძნული სამოსელის აღმნიშვნელი ტერმინი:

**πιθήρης პოდერჭ** GeoOJ / პოდირი GeoSB. Zech. 3:4 Ezek 9:11

სამშენებლო ტერმინები:

**στοαι სტოვა** Geo (Ezek. 40:18 Geo; 42:3 G; 42:5 Geo (შეცდომა – სუეტნი O)

**τράπεζα ტრაპეზი**

ტრანსკრიბირება, როგორც ვთქვი, ორიგინალში იშვიათად ხმარებული სიტყვების შემთხვევაში ხდება. მკითხველისათვის მათი მნიშვნელობა ტექსტში ასევე უცნობი რჩება და, შესაბამისად, როგორც წესი, ისინი ქართულში ნასესხობის

---

<sup>12</sup> საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ერთიდაიგივე სიტყვა სხვადასხვა წიგნში სხვადასხვაგვარად გადმოდის – ტრანსკრიბიციითაც და ქართული შესატყვისითაც, მაგ., ელამი, ელამონი, ელამოთი ეზეკიელში ტრანსკრიბირებულია, 3 მეფეთაში – თარგმნილი. დკორნელი დანელია ფიქრობს, რომ ქართულ თარგმანებში უმეტესად ის ებრაული ტერმინები არაა ტრანსკრიბირებული, რომლებიც ბერძნულში დამკვიდრებულ ნასესხობებს წარმოადგენენ და რომლებიც ქართველი მთარგმნელისთვის ნაცნობი უნდა ყოფილიყო, მაგ. σῖκερα, σάκκας, χιτῶν, λιβανος (საკმეველის მნიშვნელობით), πάσχα – ზატიკი 127-130.

<sup>13</sup> მომაქვს მხოლოდ ისეთი მაგალითები, როდესაც კონტექსტი ტრანსკრიბირებული სიტყვების გეოგრაფიულ ან წარმომავლობის სახელად გაგების საშუალებას არ იძლევა.

<sup>14</sup> ებრაულიდან სექტუაგინტაში შესული ლექსიკის ტრანსკრიბციების მაგალითები იხ. კ. დანელია, ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში, 143-160.

<sup>15</sup> გამონაკლისია σαρκოჯ (Isa. 5:2) = რუხ სორეჯი OJ G, რომელიც აბდულმესიანში იხმარება და სამხრეთ საქართველოს გავრცელებულ ყურძნის ჯიშს ჰქვია (დანელია 148).

<sup>16</sup> ტრანსკრიბციის გარდა, ნეოლოგიზმების გადმოტანა სხვაგვარადაც ხდება: ეტიმოლოგიური თარგმანით (იხ. ქვემოთ), ანდა კონტექსტიდან ამოსვლით. არის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი მისთვის გაუგებარ სიტყვას გამოტოვებს კიდევ.

სახით ფეხს ვერ იკიდებენ. ფაქტს, რომ ტრანსკრიბირებული სიტყვა გაუგებარი იყო და განმარტებას საჭიროებდა, გლოსის ტიპის დამატებებიც მოწმობს, რომელიც სხვადასხვა ადგილას ახლავს *ἤλεκτρον*-ის (*ἤλεκτρον*, *τό*, and *ἤλεκτρος*, *ὁ* or *ἡ*, *electron*, *pale gold*, *a compound of 1 part of silver to 4 of gold*, Soph., etc.-In Ar) ქართულად ტრანსკრიბირებულ ფორმას - ილიკტრონი OJ: Ezek.1:4-ს დართული აქვს გლოსის ტიპის დამატება, როგორც ჩანს, ლექსიკონიდან: “რომელ-იგი ოქროდ და ვეცხლი და რვალი ერთად შედნობილ არნ” 1:27-ზე იმავე შინაარსის დამატება მცირე პერიფრაზით: “რომელ არნ ოქროდ და ვეცხლი და რვალი ერთად შედნობილი,” “რომელ-იგი ოქროდ და ვეცხლი და რვალი ერთად შედნობილ არნ”, 8:2 გლოსა ენაცვლება განსამარტ სიტყვას.

### ეტიმოლოგიური თარგმანი

*θηριάλατον* ბერძნულ ხუთწიგნეულში და ეზეკიელში ნახმარი ნეოლოგიზმია. მთარგმნელი სათარგმნი სიტყვის ძირიდან (*θηρίον* - მხეცი) ამოდის და ისე განსაზღვრავს მის მნიშვნელობას, ე.ი. ეტიმოლოგიურ თარგმანს იძლევა: *ნამხეცავი* (ნეიტრალურად თუ ვთარგმნით – ის, რასაც მხეცი შეეხო, რასაც მხეცმა კბილი გაჰკრა, გადაუარა). ეს ქართული სიტყვაც, როგორც მისი ბერძნული შესატყვისი, ნეოლოგიზმს წარმოადგენს, რომელიც სხვა ტექსტებში აღარსად არ გვხვდება (მხოლოდ დიდ სჯულისკანონში, მოციქულთა კანონებში, კონტექსტში, რომელიც ლევიტელების პერიფრაზია. 223).

ნეოლოგიზმების ლექსიკური მნიშვნელობის განსაზღვრას სიტყვის ძირიდან ამოსვლით ქართველი მთარგმნელები ხშირად მიმართავენ.

თუმცა, ეტიმოლოგიური თარგმანი ყოველთვის არ იძლევა სწორ თარგმანს. ამ აზრის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ არამეულიდან ნასესხები სიტყვის *γείωρας / γιώρας* (Aram. 𐤒𐤓𐤕 ) *პროზელიტი, მწირი*) არასწორი თარგმანი: Ex 12:19 *ქუეყანის მოქმედთაგან*<sup>17</sup> ვიდრე ქუეყანის მთავართამდე OB C; Is 14:1 ქუეყანისა საზღვარნი J; მექუეყანე S. რისი მიზეზიც ძირის (*γῆ*) არასწორი აღდგენაა.

### კონტექსტუალური თარგმანი

როგორც ვთქვი, ნეოლოგიზმების მნიშვნელობის გადმოტანისას ბიბლიის ძველი ქართველი მთარგმნელები ერთნაირად იყენებენ როგორც ეტიმოლოგიურ, ისე კონტექსტუალურ თარგმანსაც. თარგმანის მეთოდის თავისუფალი ცვლის კარგ მაგალითს წარმოადგენს *ελαίας* ქართველი მთარგმნელი.

*ἐμπαίζω* (*to mock at, to make sport of* Gn 39,14; *to abuse*)-დან ნაწარმოები ნეოლოგიზმების თარგმნას სხვადასხვაგვარ პრინციპით უდგება:

ეტიმოლოგიიდან ამოსვლით (*παίζω* მღერა):<sup>18</sup> Isa. 3:4 *ἐμπαίχτης* მემღერნი Geo და

კონტექსტიდან ამოსვლით: *ἔμπαιγμα*, (*τό*, *jest, mocking, delusion* (Lust) neol:) Isa. 66:4 *καὶ γὰρ ἐκλέξομαι τὰ αὐτῶν καὶ τὰς ἀμαρτίας ἀνταποδώσω αὐτοῖς* და მე გამოვარჩინე სირცხვლნი (სამაგელებანი GS) მათნი და ცოდვად მათი მი-ვე-ვაგო მათ OJ.

<sup>17</sup> Exod. 12:48,49 *προσηλύτος*-ს *მწირი* შესაბამება.

<sup>18</sup> მღრ. Isa. 3:16 *παίξουσαι* იმღერდეს J; მომღერალნი S

კონტექსტიდან ამოსვლით თარგმნიან ამავე ნეოლოგიზმს ეზეკიელის და ფსალმუნის მთარგმნელებიც: *ἐμπαιγμός* (*mockery, mocking* (Lust). Ezek. 22:4 *διὰ τοῦτο δέδωκά σε εἰς ὄνειδος τοῖς ἔθνεσιν καὶ εἰς ἐμπαιγμὸν πάσαις ταῖς χάραις* ამისთვის მიგეც შენ საყუედრელად წარმართთა და საკიცხელად ყოველსა სოფლებსა OJ;<sup>19</sup> Ps. 37:8 *αἰ ψῆαι μου ἐπλήσθησαν ἐμπαιγμῶν* თემონი ჩემნი აღივსნეს ნაგუემითა (ნაგუემთაგან) და არა არს კურნებაჲ ჳორცთა ჩემთაჲ. Asin

## II. ნაცნობი სიტყვების გადმოტანის მეთოდები

მთარგმნელები თავისუფლად ცვლიან ლექსიკის გადმოტანის პრინციპს ბერძნულში დამკვიდრებული და სექტუაგინტაშიც ხშირად ნახმარი სიტყვების შემთხვევაში, ე.ი. შემთხვევებში, როცა მთარგმნელს სათარგმნი ლექსიკის მნიშვნელობის დადგენა არ უწყევს.

### ეტიმოლოგიური და კონტექსტუალური თარგმანი

მთარგმნელს *πλατύνω*-ს (გაფართოვება) სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით ესმის და, შესაბამისად, მას სხვადასხვა ეკვივალენტს უძებნის: როცა მას კონტექსტი ამის საშუალებას აძლევს, ამ სიტყვას *ძირის* (*πλατύνω*) **ამოსავალი მნიშვნელობიდან** (*ფართო, ვრცელი*) გამომდინარე თარგმნის და ამისათვის სხვადასხვა შემთხვევაში ორ სინონიმურ სიტყვას ხმარობს:

17:37 *ἐπλάτυνας τὰ διαβήματα*] *ფართო ჳყვენ* (*make wide*) *სღვანი*

118:32 *ἐπλάτυνας τῆς καρδίας μου*] *განავრცე* (*enlarge*) *გული ჩემი*

### კონტექსტუალური თარგმანი

სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით გადმოაქვს ფსალმუნის მთარგმნელს ეს სიტყვა შემდეგ წინადადებაში:

4:2 *ἐν θλίψει ἐπλάτυνάς μου*] *ჭირსა ჩემსა მიღებინე* Geo (ამ სიტყვით ფსალმუნში ჩვეულებრივ *ἰλάσῃ* ითარგმნება ხოლმე).

კონტექსტის გარდა, *πλατύνω*-ს გადმოტანისას პარალელური ადგილიც (34<sub>21</sub>, 80<sub>11</sub>) ახდენს ზეგავლენას:

34:21 *ἐπλάτυσαι ἐπ' ἐμέ τὸ στόμα*] *აღაღეს* (*განავრცეს* Geo<sup>G</sup>) *ჩემ ზედა პირი*

80:11 *πλάτυνον τὸ στόμα σου*] *აღაღე* (*განავრცე* Geo<sup>G</sup>) *პირი შენი*: *ex ἤνοιξεν τὸ στόμα μου*

21:14; 38:10; 118:131 = 2 Kor. 611

ამრიგად, ეკვივალენტების ცვლა ნახსენებ შემთხვევაში უკავშირდება კონტექსტის მიხედვით სათარგმნი სიტყვის მნიშვნელობების ცვლას. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის.

მთარგმნელმა სათარგმნი ერთიდაიმავე ლექსემის ერთიდაიგივე მნიშვნელობაც შეიძლება გამოხატოს სხვადასხვა ქართული სიტყვით – სინონიმებით თუ ნახევარსინონიმებით. ასე იქცევა მაგ., რუთის ძველი თარგმანის ავტორი, რომელსაც ერთიდაიგივე სიტყვა და, ასევე, ერთი ძირიდან ნაწარმოები სიტყვები სხვადასხვა ქართული შესატყვისით გადმოაქვს:

<sup>19</sup> გელათი ცვლის: ამისთვის მიგეც შენ საყუედრელად წარმართთა და სამღერელად ყოველთა სოფლებთა G

ἀγχιστέες (მახლობელი, ახლო ნათესავი) *სასუმელი G*, *ნათესავი OS*, *შვილებად OS*; ἀγχιστέαι (სამახლობლო, ახლო ნათესავი) *სასუმელი OSL*, *სამკვდრებელი OSL* (შდრ. *სასუმელი G*, *სასუმელობა G*, *სასასუმლო G*); ἀγχιστέειν *თვსობად OS*, *თვს-ყოფად OSL*, *შვილება OS*, *ნათესავობა (ყოფა)* (შდრ. *სასუმელებად G*).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ შემთხვევებში შესატყვისების შერჩევა კონტექსტზე დამოკიდებული არ არის - მთარგმნელი ქართულ სინონიმებს ზუსტად ერთსადაიმავე კონტექსტში უნაცვლებს ერთმანეთს: Ru 313 ἔαν ἀγχιστέστη σε ἀγαθόν ἀγχιστέεται ἔαν δὲ μὴ βούληται ἀγχιστέσαι σε ἀγχιστέσω σε ἔγώ უკუეთუ *გითვსოს* შენ, *თვს-გეყავნ* შენ; უკუეთუ არა უნდეს *თვსობად* შენი OSL (შდრ. უკუეთუ *გისასუმელოს* შენ, კეთილ, ხოლო არათუ ინებოს *სასუმელებად* შენი, *გისასუმლო* მე G)

Ru 44 εἰ ἀγχιστέεις ἀγχιστέε εἰ δὲ μὴ ἀγχιστέεις, უკუეთუ *ემვილები*, *ემვილე*, უკუეთუ არა *ემვილები* OSL (შდრ. უკუეთუ *ესასუმლო*, *ესასუმლე*, ხოლო არათუ *ესასუმლები* G).

### სეგმენტაცია და კონტექსტუალური თარგმანი

თარგმანის მეთოდების ცვლის მაგალითად ზირაქის წიგნის მთარგმნელის მიდგომაც შეგვიძლია მოვიტანოთ:

*ἐπαγαγή*, ἡ, *a bringing in, supplying*, Thuc.2. *a bringing in to one's aid, introduction, Id.*

3. *a drawing on, alluring*, Dem. 4. in the LXX: *captivity, distress. distress, misery - Lust*

ზირაქის მთარგმნელმაც კარგად იცის ამ პრეფიქსიანი სიტყვის მნიშვნელობა – როგორც პირდაპირი, ისე კონტექსტუალური. ამიტომაც გადმოაქვს იგი სრულიად განსხვავებული საშუალებებით:

ერთი მხრივ, იგი **ფორმალურად თარგმნის ამ სიტყვას – მის სეგმენტაციას ახდენს** (შემადგენელ ნაწილებად ყოფს) და თითოეული სეგმენტი მათი შესატყვისით გადმოაქვს: Sir. 25:14 πᾶσαν ἐπ-αγαγήν καὶ μὴ ἐπαγαγή μισήσων any attack, and not the attack of those who hate ყოველიმცა **ზედა-მისვლად** არს და ნუმცა არს **ზედამისვლად** მოძულეთაჲ.

მეორე მხრივ, ამავე სიტყვას კონკრეტული კონტექსტის შესაბამისი მნიშვნელობის მქონე შესატყვისს უძებნის:

Sir. 2:2 ἐν καιρῷ ἐπαγαγῆς ჟამსა მას, რომელსა შეგემთხუეოდის შენ **განსაცდელი**.

Sir. 5:8 ἐν ἡμέρᾳ ἐπαγαγῆς დღესა მას **რისხვისასა**.

Sir. 10:13 παρεδῆξασεν κύριος τὰς ἐπαγαγὰς განაძლიერნა უფალმან **რისხვანი**

Sir. 40:9 ῥομφαία ἐπαγαγαί λιμὸς მახვლი, **ტყუეობად** და სიყმილი

Sir. 38:19 ἐν ἐπαγαγῆ **მეყსეულად მოსრვად**<sup>20</sup>

Sir. 23:11 πλησθήσεται γὰρ ἐπαγαγῶν რამეთუ სახლი მისი აღივსოს **ზღვის-დებითა**<sup>21</sup>

<sup>20</sup> svagan: Is. 10:4 წარმყვანებელი OJ სამნაურსა (e.i. sazRaursa) S Isa. 14:17 ἐν ἐπαγαγῆ წარტყუენულნი J; მოსაწევართა შინანი S Deut. 32:36, Od.2:36 ἐν ἐπαγαγῆ tyued warqceulni BDES A Sin ბოროტთა მიცემულნი Giorg მოწვენადითა G

<sup>21</sup> 2. ეზრა, 8.27 მცხ. გინა თუ საპატიჟებელ იყუნენ, პატიჟ-ყოფად და ზღუევა-მოკდად

## დასკვნა

თუკი ზემოთ მოყვანილ მაგალითებს მთლიანობაში შევხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ ძველი აღთქმის ადრეულ თარგმანებში ლექსიკის გადმოტანის სხვადასხვა მეთოდია გამოყენებული: სემანტიკურიც და ფორმალურიც. ლექსიკური შესატყვისების შერჩევასა და მთარგმნელები კონტექსტიდანაც ამოდიან და ცალკეულ სიტყვაზეც ახდენენ კონცენტრირებას; სიტყვას მთლიანობაშიც, სემანტიკურადაც თარგმნიან და მის სემანტიკასაც ახდენენ; ქართულში არსებულ ტერმინებსაც იყენებენ (ზოგჯერ მისი მნიშვნელობის გადაწევის ხარჯზე) და ნეოლოგიზმებსაც ქმნიან. მოკლედ, ეს, ადრეული თარგმანები სიტყვასიტყვითი თარგმანის ნიშნებსაც ატარებენ და თავისუფალი თარგმანის ხასიათისასაც.